

კომპანიების შერწყმისა და შთანთქმის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე
გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში

ანი ჩანადირი

მარიამ გოგიჩაშვილი

ცირა ბეგლარაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საბანკო საქმის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ალექსანდრე ერგეშიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი ჩანადირი, 06.07.2020

მარიამ გოგიჩაშვილი, 06.07.2020

ცირა ბეგლარაშვილი, 06.07.2020

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში განხილულია კომპანიების შერწყმისა და შთანთქმის შესაძლო ეკონომიკური ეფექტი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, სადაც ჯერ-ჯერობით არაა დასრულებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პროცესი. ნაშრომში თავდაპირველად განხილულია კომპანიების შერწყმისა და შთანთქმისთან დაკავშირებული თეორიული ასპექტები, მისი როგორც წარმატებული, ისე წარუმატებელი მაგალითები, როგორც საქართველოს, ისე მსოფლიოს მასშტაბით. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეფუძნება 17 გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის მონაცემთა ანალიზს. ანალიზი იყენებს მრავალცვლადიან რეგრესიას, რომელიც აფასებს სახელმწიფოთა შორის განხორციელებული შერწყმისა და შთანთქმის გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე, კერძოდ კი ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელზე. მოდელში ჩართულია ასევე სხვა ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორებიც, როგორებიცაა: ინფლაცია, უმუშევრობა, რეალური საპროცენტო განაკვეთი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ნაშრომი ეფუძნება 1990-2018 წლების პერიოდების მონაცემთა ანალიზს. შედეგად მივიღეთ განსხვავებული მონაცემები ქვეყანათა ისეთი ჯგუფებისთვის, როგორებიცაა: დსთ-ს ქვეყნები და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. თუ პირველ შემთხვევაში შერწყმისა და შთანთქმის ზრდამ დადებითი გავლენა იქონია ეკონომიკური ზრდის ინდიკატორზე და სტატისტიკური მნიშვნელობით სუსტად დადებითი იყო, ქვეყანათა მეორე დაჯგუფებისთვის ეს გავლენა იყო უარყოფითი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ლაგ მონაცემის მიხედვით. ამის ძირითადი მიზეზი შესაძლოა შერწყმისა და შთანთქმის შედეგად მოტანილი ტექნოლოგიური პროგრესი იყოს, რომელსაც ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში უფრო მნიშვნელოვანი ეფექტი აქვს. შესაბამისად, ნაშრომი ადასტურებს ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც, მიუხედავად იმისა, რომ შერწყმა და

შთანთქმა ინვესტიციის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს, მისი შედეგები შეიძლება ყოველთვის არ იყოს სწორხაზოვანი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: შერწყმა, შთანთქმა, ეკონომიკური ზრდა, გარდამავალი ეკონომიკა.

Abstract

The paper discusses the possible economic effects of mergers and acquisitions in developing countries, where market economy is not yet completely established. This paper evaluates the relationship between cross-border mergers and acquisitions and economic growth. First of all, paper discusses the theoretical aspects of mergers and acquisitions. It briefly reviews successful and unsuccessful examples of mergers and acquisitions from all over the world, as well as in Georgia. The main part of the paper is based on the analysis of data for 17 countries with transition economies. Multivariate regression is used in order to assess the impact of mergers and acquisitions on the country's economic growth, particularly on GDP per capita. In addition, other key economic indicators, such as: inflation, unemployment, real interest rates and foreign direct investment are included in the model. The paper is based on the analysis of data for the period of 1990-2018. Based on acquired results, we observe different results for two groups of countries: CIS countries and SEE countries. If in case of CIS countries, the growth of mergers and acquisitions had a positive effect on economic growth and the result was weakly statistically significant, for the SEE countries, the result was negative and statistically significant according to the lag data. The main reason for this difference might be technological progress resulting from mergers and acquisitions, which has a more significant effect in less developed countries. Consequently, the paper confirms the hypothesis, that despite the fact that mergers and acquisitions are type of investments, its results may not always be as straightforward, as it might seem.

Key Words: Mergers, Acquisitions, Economic Growth, Transition Economies

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მოცემული ნაწილით, გვსურს, მადლობა გადავუხადოთ ჩვენი ნაშრომის აკადემიურ ხელმძღვანელს, გამონახული დროისა და ძალისხმევითვის, ასევე იმ რჩევებისა და კრიტიკული მოსაზრებებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვნად დაგვეხმარა მოცემული კვლევის საბოლოო ფორმის ჩამოყალიბებაში.